შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

LTD FOOTBALL CLUB MESHAKHTE

კლუბის საშეჯიბრო სახელწოდება ს/კ „მეშახტე“

ს/კ 219630228

ქ.ტყიბული, თაყაიშვილის N3

ტელ: +995 599 24 92 49

შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

გულშემატკივართა მეკავშირე ოფიცრის ანგარიში

კლუბისთვის გულშემატკივართა მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესი ძალაა. სწორედ ამიტომ, მე გულშემატკივართა მეკავშირე ოფიცერი ვასრულებს ხიდის ფუნქციას კლუბსა და გულშემატკივრებს შორის, ვუზრუნველყოფ კომუნიკაციას, ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გულშემატკივართა ინტერესების დაცვას.

ჩემი მთავარი ამოცანებია:

1. გულშემატკივრებთან მუდმივი კომუნიკაცია და მათი საჭიროებებისა და რეკომენდაციების მოსმენა.

2. კლუბის გადაწყვეტილებების, ღონისძიებებისა და სიახლეების დროული მიწოდება გულშემატკივრებისთვის.

3. სტადიონზე მატჩების ორგანიზებისას გულშემატკივართა ინფორმირება უსაფრთხოების წესებისა და სამგზავრო პირობების შესახებ.

4. გულშემატკივართა ჩართულობის გაზრდა კლუბის სოციალურ და საზოგადოებრივ პროექტებში.

ჩემს მიერ განხორციელებული საქმიანობა

2025 წელს ჩემს მიერ განხორციელებული აქტივობები:

1. ინფორმაციის გამჭვირვალე მიწოდება-გულშემატკივრები დროულად იღებენ ინფორმაციას მატჩების განრიგზე, ტრანსპორტირებაზე და უსაფრთხოების საკითხებზე.

2. საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება-დაინერგა ანონიმური შეთავაზებების სისტემა, სადაც გულშემატკივრებს შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებების და იდეების გაზიარება.

3. სტადიონის ატმოსფეროს გაუმჯობესება-გულშემატკივრებთან ერთად დაგეგმილი იქნა ქომაგობის ერთიანი სტრატეგია, რამაც გუნდს დამატებითი მოტივაცია მისცა.

მომავალზე ორიენტაცია:

შემდგომ პერიოდში ვიმუშავებ შემდეგ მიმართულებებზე:

1. გულშემატკივართა ჩართულობის პროგრამების გაფართოება.

2. სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში გულშემატკივრების უფრო აქტიური ჩართვა.

3.სტადიონის ინფრასტრუქტურისა და გულშემატკივართა სერვისების გაუმჯობესებაზე რეკომენდაციების მომზადება.

შპს საფეხბურთო კლუბი

„მეშახტე“-ს დირექტორი: **/ლევან ჯაფარიძე/**

შპს საფეხბურთო კლუბი„მეშახტე“-ს

გულშემატკივრებთან მეკავშირე ოფიცერი: **/მერაბი ბაჯაძე/**

E-mail – klubimeshakhte@gmail.com ; ID:219630228

Address – Tkibuli, Georgia, Takaishvili str. N3
Phone Number- +995 599 24 92 49